ძლიერი ლიდერობა საგზაო უსაფრთხოებისთვის!

Save Lives #SpeakUp

Leadership for road safety

2019 წელს საგზაო უსაფრთხოების მეხუთე გლობალური კვირეულის გზავნილია „ხმა აიმაღლე, გაუფრთხილდი სიცოცხლეს! “

კვირეულის თემა - „ლიდერობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ გულისხმობს საჯარო, სამოქალაქო თუ კერძო სექტორების ლიდერობითა და გაერთიანებული ძალისხმევით ქვეყანაში არსებული გამოწვევების გადაწყვეტას და გზებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ყოველწლიურად საგზაო შემთხვევებით მსოფლიოში 1.35 მილიონი ადამიანი იღუპება და 50 მილიონზე მეტი ზიანდება და შრომისუუნარო ხდება. საგზაო შემთხვევებით განპირობებული ლეტალობა 5–29 წლის ასაკის პოპულაციაში სიკვდილიანობის წამყვანი და გლობალურ სიკვდილიანობაში მერვე ძირითადი მიზეზია. ამ საგანგაშო საერთაშორისო სტატისტიკაში წვლილი საქართველოსაც შეაქვს. საქართველოში ყოველწლიურად ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 500-მდე ადამიანი იღუპება და 9000- ზე მეტი ზიანდება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საგზაო უსაფრთხოების გლობალური სტატუსის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო, 100000 მოსახლეზე საგზაო შემთხვევებით განპირობებული სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ევროპის რეგიონის 7 და დამოუკიდებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ 6 ქვეყანას შორისაა. მისი მაჩვენებელი (15.3) სამჯერ აღემატება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (5.1).

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში საქართველო საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2018 წელს საქართველოში 6,452 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც დაიღუპა 459 ადამიანი, ხოლო 9,047 დაშავდა. მართალია, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით ავტოსაგზაო შემთხვევების მიზეზით დაღუპულთა რაოდენობა შემცირდა 11%-ით, მაგრამ 6%-ით იმატა ავტოავარიების რაოდენობამ და 7%-ით დაშავებულთა რიცხვმა. რაც შეეხება დედაქალაქს - თბილისში წინა წელთან შედარებით სამივე მაჩვენებელი გაზრდილია: საგზაო შემთხვევები 7%-ით, დაშავებულები 7%-ით, დაღუპულები 4%-ით.

ავტო-საგზაო შემთხვევების დინამიკა საქართველო 2008-2018



ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში შემთხვევების გაზრდილი რაოდენობის მთავარი მიზეზი სიჩქარის გადაჭარბება, არასწორი მანევრირება, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა, აგრეთვე, ქვეითების ბრალეულობით გამოწვეული შემთხვევებია.

საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების მიმართ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას ბავშვები, ხანდაზმულები და ქვეითად მოსიარულეები წარმოადგენენ.

ქვეითად მოსიარულეთა უმეტესი ნაწილი ნებით თუ უნებლიეთ, უყურადღებობით, თუ დაუდევრობით, საფრთხეს უქმნის საკუთარ და სხვის სიცოცხლეს. ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში მიწისქვეშა ან მიწისზედა გადასასვლელებით სარგებლობა, ბევრისთვის „თავისუფალი გადაადგილების უფლების“ შელახვად, მანქანებით გადაჭედილ ტრასაზე ავტომობილებს შორის გაძვრომა კი „ნორმად“ აღიქმება. შუქნიშანის და ტროტუარის ფუნქცია კი სრულებით უგულვებელყოფილია.

მართალია, საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქვეითად მოსიარულეები ვერ აცნობიერებ ავტოსაგზაო საფრთხეებს, თუმცა ჩვენს საზოგადოებაში საგზაო უსაფრთხოების ცოდნის და სარისკო ქცევის გაცნობიერების დონე მეტისმეტად დაბალია. ეს განსაკუთრებით საგანგაშოა, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება.

რა უნდა გავაკეთოთ საქართველოს გზებზე ავტოსაგზაო შემთხვევების და მათი ფატალური შედეგების შესამცირებლად?

ქვეითების საყურადღებოდ!

გაითვალისწინეთ უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილებისთვის საკმარისია რამდენიმე მარტივი წესის დაცვა:

- არ გადაირბინოთ ქუჩაზე;
- ქუჩაზე გადასვლისას არ მოადუნოთ ყურადღება;
- ქუჩაზე გადასვლისას თავი შეიკავეთ ყურსასმენების გამოყენებისა და ტელეფონით საუბრისაგან;
- ნუ იქნებით იმის იმედად, რომ მოახლოვებული მანქანის მძღოლი შეგამჩნევთ და დაამუხრუჭებს;
- დაელოდეთ მანქანის გაჩერებას და შემდგომ გადაჭერით ქუჩა;
- საღამოს საათებში, ხილვადობის გასაუმჯობესებლად, ჩაიცვით ნათელი შეფერილობის ტანსაცმელი;
- ისარგებლეთ ქვეითებისთვის განკუთვნილი მიწისქვეშა თუ მიწისზედა გადასასვლელით;

რა ზომები უნდა იქნას მიღებული ქვეითად მოსიარულე ბავშვების უსაფრთხო გადაადგილებისთვის?

- დავიცვათ საგზაო უსაფრთხოების წესები და ჩვენი ქცევით გავხდეთ ბავშვებისთვის სამაგალითო;
- ვასწავლოთ ბავშვებს საგზაო უსაფრთხოების წესები;
- გავუწიოთ ადვოკატირება სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე ევროპული სტანდარტის შესაბამისი, კერძოდ დღის და ღამის საათებში კარგად ხილვადი 30კმ/სთ-მდე სიჩქარის შეზღუდვის მაჩვენებელი საგზაო ნიშნების არსებობას;
- სკოლებისა და ბავშვთა თავშეყრის ადგილებში ვუზრუნველყოთ სიჩქარის შემზღუდველი საინჟინრო ინფრასტრუქტურა;

ავტომანქანის მართვისას გაითვალისწინეთ:

- სიჩქარის რამდენიმე კმ/სთ-ით აჩქარებამ, შესაძლოა მკვლელად გაქციოდ!

- რაც უფრო სწრაფად მართავთ მანქანას, მით უფრო ნაკლები დრო გრჩებათ დამუხრუჭებისთვის!
- ფატალური შედეგით დასრულებული საგზაო შემთხვევა მძღოლის ხანგრძლივ და მძიმე ემოციურ სტრეს იწვევს;

რჩევები:

- სიჩქარის ლიმიტი არ არის სამიზნე!
- ცუდ მეტეროლოგიურ პირობებში სიჩქარეზე დაწესებული ლიმიტი გადაჭარბებული სიჩქარის ტოლფასია!
- როცა გზა მკვეთრ და ბრმა მოსახვევებს მოიცავს შეაჩერეთ სვლა!
- თავი დაიცავით მოულოდნელი საფრთხეებისგან! მოიგეთ დრო და გააკონტროლეთ გზა!
- მანქანის სწრაფად მართვა მძღოლის დაბალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს!

კვლევებით დასტურდება, რომ:

- გადაჭარბებული სიჩქარე საგზაო შემთხვევების ფატალური შედეგების ძირითადი მიზეზია!
- ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის 10 კმ/სთ-ით გაზრდა, 4-ჯერ ზრდის ქვეითის ფატალურად დაშავების რისკს!

ავტომანქანის მართვისას მობილური ტელეფონის, სატელიტური ნავიგაციის ან მსგავსი მოწყობილობის გამოყენება იწვევს მძღოლის ყურადღების გაფანტგვას. ეს კი საფრთხეს უქმნის, როგორც გზით მოსარგებლეს ასევე თავად მძღოლს.

ფაქტები:

- კვლევებით დადასტურებულია, რომ ავტოტრანსპორტის მართვისას მობილური ტელეფონით სარგებლობა აქვეითებს მძღოლის რისკების შეფასებისა და ადექვატური რეაგირების უნარს;
- შემოსული ზარი თუ ტექსტური შეტყობინება ფრთხილ და გამოცდილ მძღოლსაც კი, უქვეითებს კონცენტრირებისა და სწრაფი რეაგირების უნარს;

რჩევები

- გამორთეთ მობილური ტელეფონი მანქანის დაძვრამდე!
- მანქანის მართვისას თავი აარიდეთ ზარების პასუხს ყურთსასმენიანი ტელეფონის სარგებლობის შემთხვევაშიც კი!
- გაითვალისწინეთ, სატელეფონო ზარი იწვევს საგზაო მოძრაობიდან მძღოლის ყურადღების გადატანას!
- მობილურის გამოყენებამდე მანქანა გააჩერეთ უსაფრთხო ადგილზე!
- არ დაურეკოთ სხვას, როცა ის მართავს მანქანას!
- მაშინაც კი, როცა ზარის ადრესატი 112-ია, ეცადეთ ისარგებლოთ პორტატული ტელეფონით!

საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილემ: ქვეითმა, მგზავრმა, მძღოლმა უნდა გაითავისოს პასუხისმგებლობა, დაიცვას კანონი და თავისი არასწორი ქმედებით საფრთხე არ შეუქმნას არც საკუთარ თავს და არც სხვას.

როგორ ვუზრუნველყოთ ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება?

საგზაო ავარიების შედეგად, სამწუხაროდ, უამრავ ჩვენს ახლობელს ვკარგავთ, მაგრამ როდესაც საქმე ბავშვებს ეხება, უფრო მეტი ყურადღება გვმართებს. მივყვეთ საგზაო უსაფრთხოების მსოფლიო სტანდარტებს, არ მივცეთ ბავშვებს უფლება დასხდნენ წინა სავარძელზე, და გამოვიყენოთ ბავშვთა სპეციალური სავარძლები, რომლებიც საგზაო შემთხვევებით პირობადებული სიკვდილობისა და სერიოზული დაზიანებების ალბათობას 80%-მდე ამცირებს. კვლევებით დასტურდება, რომ ბავშვის შემაკავებელი ღვედის ან სპეციალური სავარძლის გამოუყენლობის შემთხვევაში უმნიშვნელო ავტოკატასტროფაც კი, სავალალო შედეგით სრულდება.

გაითვალისწინეთ

- 12 წლამდე ბავშვის მანქანის წინა სავარძელზე მოთავსება დაუშვებელია;
- არ გამოიყენოთ ბავშვთა უსაფრთხოების სავარძელი 6 წლის შემდეგ, რადგან მისი ვარგისიანობის ვადა უკვე გასულია;
- არ გამოიყენოთ ბავშვთა მეორადი უსაფრთხოების სავარძელი;
- უსაფრთხოების სავარძელი შეარჩიეთ ბავშვის წონისა და ასაკის მიხედვით;
- დარწმუნდით, რომ ავტომობილში ბავშვის სპეციალური უსაფრთხოების სავარძელი სათანადოდ არის დამონტაჟებული;
- 3 წლის და მეტი ასაკის შემთხვევაში ბავშვი მოათავსეთ ტრანსპორტის უკანა სავარძელზე და გამოიყენეთ უფროსებისთვის განკუთვნილი უსაფრთხოების ღვედი;
- 3 წელზე ნაკლები ასაკის შემთხვევაში უმჯობესია ბავშვი მოათავსოთ უსაფრთხოების სავარძელში, მისი არარსებობის შემთხვევაში გამოიყენოთ უკანა სავარძელზე არსებული უსაფრთხოების ღვედი;
- სხვა შემთხვევაში ბავშვის მგზავრობა დაუშვებულია;

საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ არსებულ გამოწვევებზე, მიღწეულ პროგრესსა და ქმედითი პრევენციული ღონისძიებების სამომავლო გეგმებზე.

საგზაო უსაფრთხოების გლობალური კვირეულის აღნიშვნა ხელს უწყობს საზოგადოების წახალისებას იყოს აქტიური, ილაპარაკოს, გამართოს შეკრებები და პრესკონფერენციები, შეაფასოს თავისი ყოველდღიური გადაადგილების უსაფრთხოება, შეადგინოს მოთხოვნები და გაუზიაროს ისინი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

გავერთიანდეთ! ხმა ავიმაღლოთ! მეტი სიცოცხლისთვის!

უსაფრთხოება იწყება შენით!

გავერთიანდეთ!

ხმა ავიმაღლოთ! მეტი სიცოცხლისთვის!

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

World Health Organization
REGIONAL OFFICE FOR Europe